ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2751238

ნომერი: AR1426374

თარიღი : 25.07.2016

გაცემის თარიღი : 05.08.2016

გაცნობის თარიღი : 05.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 116 , (ნაკვეთი 08/032) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან კალმახელიძე პ/ნ 20001004247
- ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #51, 1 კვ. კორპ. #10

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

## გადაწყვეტილება

I კლასის – არსებული დაზიანებული კედლის რეკონსტრუქციის (კედლის დაზიანებული ნაწილის დემონტაჟი და მის ნაცვლად თუნუქის ღობის მოწყობა) სამუშაოების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი - დიდუბე), შ.პ.ს. "ველაჯიო"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული დაზიანებული კედლის რეკონსტრუქციის (კედლის დაზიანებული ნაწილის დემონტაჟი და მის ნაცვლად თუნუქის ღობის მოწყობა) სამუშაოების განხორციელებას.

თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

''მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შ.პ.ს. "ველაჯიო"–ს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა; რეგისტრაციის N 882016236289, 14.04.2016 წ. საკადასტრო კოდი N 01.13.08.008.032; საინჟ. მეცნ. დოქტორის, ჯ. ვაშაკიძის საექსპერტო დასკვნა; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2013 წლის 28 მარტის N02/08-1216 წერილი; სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"-ს კორპორატიული ბიზნესის დირექტორის ვლ. რობაქიძის 28.07.2016 წლის N04-1/629/3181 თანხმობა; ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შ.პ.ს. "ველაჯიო"-ს შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის NB16067627, მომზადების თარიღი 20.04.2016; დემონტაჟის პროექტი; გენგეგმა; სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში სექტორი - დიდუბე), შ.პ.ს. "ველაჯიო"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული დაზიანებული კედლის რეკონსტრუქციის (კედლის დაზიანებული ნაწილის დემონტაჟი და მის ნაცვლად თუნუქის ღობის მოწყობა) სამუშაოების განხორციელებას.

გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

---

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge